სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება
N01-012601

ქ. თბილისი **26 იანვარი 2015წ.**

ერთი მხრივ, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, წარმოდგენილი მისი უფროსის მოვალეობის შემსრულებლის გივი ჩოჩიას სახით (შემდგომში„შემსყიდველი") და მეორე მხრივ შპს „დეკორი" (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის, დიმიტრი კვეკვესკირის სახით, პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის შესყიდვის მიზნით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე (გადაუდებელი აუცილებლობა) დებენ გამარტივებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისა-თვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას (მხარე).

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებას (მხარე).

1.6. „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

მიმწოდებელმა ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად უნდა უზრუნველყოს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს საჭიროებისთვის **294 (ორასოთხმოცდათოთხმეტი)** შეკვრა პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის **(CPV 30197630)** მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულების დანართის №1 შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 მისაწოდელი საქონლის ერთეულის ფასი შეადგენს **6,20** (ექვსი ლარი და 20 თეთრი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: **1822,80 (ერთიათას რვაასოცდაორი ლარი 80 თეთრი)** ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს შემსრულებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ადგილია: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ №150, X სართული, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.

4.2. საქონლის მოწოდება უნდა მოხდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან **2 (ორი)** სამუშაო დღის ვადაში.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების მეორე მუხლში მითითებული ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი.

5.2. მიმწოდებლის ვალდებულება საქონლის გადაცემაზე ითვლება შესრულებულად შემსყიდველისა-თვის საქონლის გადაცემის მომენტიდან. საქონლის გადაცემასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ყველა შესაბამისი დოკუმენტი.

5.3. თუკი ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებულ საქონელს აღმოაჩნდება რაიმე ნაკლი, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე შეცვალოს წუნდებული საქონელი ნივთობრივად უნაკლო ანალოგით, თავისი ხარჯით.

5.4. შემსყიდველი ვალდებულია მიიღოს საქონელი და გადაიხადოს მისი ფასი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

5.5. მიმწოდებლისაგან საქონლის მიღებისას შემსყიდველი ვალდებულია შეამოწმოს მისი დასახელების, რაოდენობის და ხარისხის შესაბამისობა ამ ხელშეკრულების მეორე მუხლით შეთანხმებულ საქონელთან.

5.6. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

6.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

7. ხელშეკრულების ინსპექტირება

7.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

7.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონტროლსა და ზედამხედველობას განახორციელებს სსიპ ,,გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს ადმინისტრაციული დეპარტამენტის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს თანამშრომელი.

7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ტექნიკური პირობების მიხედვით.

8.2. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ ,,გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს ადმინისტრაციული დეპარტამენტის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება საქონლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის მნიშვნელოვანი დარღვევის (გამოუსწორებელი ნაკლის, ისეთი ნაკლის, რომლის გამოსწორება შეუძლებელია განსაზღვრული მატერიალური და დროის დანახარჯების გარეშე, ან რომელიც კვლავ აღმოჩნდება ნაკლის გამოსწორების შემდეგ) შემთხვევაში.

9.2. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:

ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადაში მიმწოდებელს არ შეუძლია საქონლის (ან მისი ეტაპის) მიწოდება;

ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

გ) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) მიმწოდებლის მიმართ დაიწყო გაკოტრების საქმის წარმოება;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

10.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამი) პროცენტის ოდენობით.

10.3. იმ შემთხვევაში, თუ მხარისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, მეორე მხარე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს "მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება

(სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზებ-ის შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

12.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევე-ბისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

12.4. ხელშეკრულების 12.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 10 სამუშაო დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავების გადაჭრის წესი

ამ ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შეძლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

14. დასკვნითი დებულებები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ორი რჩება შემსყიდველს, ერთი – მიმწოდებელს).

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს **2015 წლის 15 მარტის ჩათვლით.**

16. მხარეთა რეკვიზიტები

სსიპ „გარემოსეროვნულისააგენტო“	**შპს „დეკორი”**
მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლისგამზ. №150.	თბილისი, ზელიაშვილის ქ.№63
საიდენტიფიკაციოკოდი: 204559691	საიდენტიფიკაციო კოდი: 203868635
მიმღებიბანკი: სახელმწიფოხაზინა	სს „საქართველოს ბანკი”
მიმღებისდასახელება: ხაზინისერთიანანგარიში	ბანკის კოდი BAGAGE22
ბანკისკოდი: TRESGE22	ა/ა №GE84BG0000000211219902
ტელ: 243 95 45	
გივი ჩოჩია	**დიმიტრი კვეკვესკირი**
სააგენტოსუფროსის	**დირექტორი**
მოვალეობისშემსრულებელი	

2015 წლის 26 იანვარს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N01-012601-ის დანართი №1

შესყიდვის ობიექტი: A4 ფორმატის პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) გრამაჟი (გრ/მ2) – 77– 83;

ბ). სიკაშკაშე – 88% -104%;

გ) გაუმჭვირვალობა – მინიმუმ 92%;

დ) სითეთრე (CIE) Wcbg (ულტრაიისფერი სხივების გათვალისწინებით) – 142%-164% ;

ე) ISO 9001 და ISO 14001 საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა;

ვ) ქაღალდი დამზადებული უნდა იყოს ქლორის გამოყენების გარეშე;

ზ) არანაკლებ 500 ფურცლიანი შეკვრა;

თ) ქაღალდი განკუთვნილი უნდა იყოს ლაზერული პრინტერებისათვის, ჭავლური პრინტერებისათვის, ასლგადამღები აპარატებისათვის.

გივი ჩოჩია
სააგენტოს უფროსი
მოვალეობის შემსრულებელი

დიმიტრი კვეკვესკირი
დირექტორი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 26 იანვარი2015წ

ჩვენ,ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსა და შპს „დეკორი"-ს შორის 2014 წლის 26 იანვრის N01-012601 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს.

_____ გივი ჩოჩია

_____ დათო ქოჩიაშვილი

_____ ზაზა დვალაძე